



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080145946179719

№ 2755

24 / ივნისი / 2019 წ.

შპს „თ.ბ.-კაპიტალის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 12 ივნისს წარმოდგენილ იქნა შპს „თ.ბ.-კაპიტალის“ (ს/ნ: 212921748) 2019 წლის 12 ივნისის მომართვა (რეგისტრაციის №6256), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. შპს „თ.ბ.-კაპიტალმა“ 2019 წლის 18 ივნისს წარმოადგინა 2019 წლის 17 ივნისის დაბუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 6469), რომლითაც გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 13 ივნისის №2236 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ ისინი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „თ.ბ.-კაპიტალი“ (ს/ნ: 212921748) 2019 წლის 25 ივნისს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამმოდასმულია
ელექტრონულად

ზაზა ნანობაშვილი